თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

8 XI 1991 ფასი 50 კაპ. № 42 (47)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვესაუბრება უზენაესი საბჭოს წევრი, უმრავლესობის ფრაქციის წარმომადგენელი, დეპუტატი გიორგი გულგანი

გზა, რომელიც კავკასიისათვის გაიმეტა უფალმა

— ბატონო გიორგი, როგორ გესახებათ ჩვენი ქვეყნის აწმყო, მომავალი და საქართველოს რეპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიო მოვლენებთან მიმართებაში.

— თუ რა პერსპექტივები გვაქვს, ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. აქედან გარკვეული ინფორმაციის ტენდენციურობა აშკარად ერთი ხელის მიერაა მართული, როგორც რეალური მდგომარეობის, ასევე პერსპექტივების შეფასებისას.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოში არსებული ყველა პრობლემა ერთ საკითხთანაა დაკავშირებული, ეს არის საქართველოს რეალური, ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ცნობის საკითხი. სამართლებრივად და ფორმალურად არავითარი წინა საფუძველი იმისა, რომ ეს პროცესი შეჩერდეს, არ არსებობს. იმიტომ, რომ ერის ნება გამოხატულია რეფერენდუმით, რომელიც დაადასტურა დემოკრატიული წესით არჩეულმა ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამდენად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არ ეწინააღმდეგება არც ერთ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმას, მაშინ როდესაც, ვთქვათ, ოსების პრეტენზია, საქართველოში პოლიტიკური ავტონომიის შექმნისა, ეწინააღმდეგება მთელ რიგ საერთაშორისო აქტებს, რადგან არ შეიძლება ეროვნულმა უმცირესობამ (ოსები კი ეროვნული უმცირესობაა საქართველოში, ხოლო ქართველები ეროვნული უმცირესობა არ ვიყავით საბჭოთა კავშირში, საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის) შოახდინოს თვითგამორკვევა ისეთი ფორმით, რომ დაარღვიოს იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეც ეს ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს. ასე რომ, პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნები ამ შემთხვევაში უკანონო და მიუღებელია. მიუხედავად ამისა, დასავლეთის პრესა გარკვეული მიზეზების გამო, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, „ვერ ამჩნევს“ ამ უმნიშვნელოვანეს მომენტს და მაინც ოსების მხარეს დგას. ეს ყოველივე დროებითი მოვლენაა და აი რატომ: საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა იმგვარია, რომ შეუძლებელია იგი გახდეს შვეიცარიის ტიპის ნეიტრალური ქვეყანა, რადგან საქართველომ და კავკასიამ შეუძლებელია აწარმოონ ნეიტრალური პოლიტიკა. აქ არის საუბარი იმაზე, თუ როგორი ბუნების უნდა იყოს ეს პოლიტიკა — იქნება ის დამოუკიდებელი, საერთო კავკასიური პოლიტიკა, რომელიც შეიძლება იყოს პროდასავლური, პროაღმოსავლური (აქ მხედველობაში მაქვს არა გეოგრაფიული აღმოსავლეთი, არამედ რეალური ძალა აღმოსავლეთში — რუსეთი) თუ სხვა ტიპისა გეოპოლიტიკური ძალთა თანაფარდობაში. იქნებ შესაძლებელია აღმოცენდეს ახალი, დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ძალა კავკასიის სახით, რომელიც უარყოფს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის უშუალო გავლენას. ძალთა თანაფარდობა, რომელიც მსოფლიოშია დამყარებული, ალბათ, გარკვეულწილად უნდა გადანაწილდეს. ეს იქნება ძალიან მტკივნეული და მძიმე პროცესი იმ რეალური ძალებისთვის, რომლებიც დღეს მსოფლიოს აკონტროლებს.

შეძლებს თუ არა მარტო საქართველო ჩვენთვის სასურველ პოზიციაზე დადგომას ისე, რომ დამოუკიდებელ, არანეიტრალური პოლიტიკა აწარმოოს? ამას საქართველო ალბათ ვერ შეძლებს. იმისათვის, რომ საქართველომ ეს შეძლოს, საჭიროა მოხდეს გარკვეული ინტერესების თანხვედრა კავკასიაში მცხოვრები ხალხისა. კავკასიაში მცხოვრები ხალხი, ცალკე საქართველო ვერ შეძლებს ისევე, როგორც სომხეთი ან აზერბაიჯანი. კავკასიის იმ ნაწილში, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის იმპერიაშია მოქცეული, ცხოვრობს დაახლოებით 20 000 000 ადამიანი, აქედან 4 000 000-ზე ცოტა მეტი ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად ეს არის იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ხალხი.

დღეს აღმოსავლეთის და დასავლეთის ინტერესების სფეროში შედის ის, რომ არ შეიქმნას ეს საერთო კავკასიური ალიანსი. ამ საერთო კავკასიურ ალიანსში არ გგულისხმობთ ერთიან სახელმწიფოს ან ერთი სახელმწიფოს გარშემო გარკვეული პროტექტორატის შექმნას. იგი წარმოგვიდგება სუვერენულ სახელმწიფოებად, რომელთაც ექნებათ ერთი და იგივე სტრატეგიული საგარეო პოლიტიკა. ტაქტიკურად შეიძლება ეს საგარეო პოლიტიკური კურსები განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ არასდროს ეს კურსები ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდეს. ამგვარად იქნება ძალიან ძლიერი კავკასია, რომელიც პრაქტიკულად რუსეთის გავლენას შეწყვეტს წინა აზიაში და დასავლეთის გავლენასაც ნავთობით მდიდარ რეგიონებში საკმაოდ შეასუსტებს. შეიქმნება ისეთი ბლოკი, რომელიც დღეს არავის სიამოვნებს, მაგრამ აქ არის საკითხის მეორე მხარე — დასავლეთის გავლენა წინა აზიის რეგიონებში საკმარისად მძლავრია, მაგრამ, ვფიქრობ, დასავლეთის სურვილია, უფრო დიდი იყოს ეს გავლენა და ცხადია, აქვს სურვილი რუსეთის გავლენის სფეროებსაც დაეპატრონოს, მით უმეტეს, თუ პრორუსული — სადამ ჰუსეინის ტიპის რეჟიმების დამხობა მოხდება. პრაქტიკულად დასავლეთი უბრძოლველად „დაიპყრობს“ ამ ეკონომიკურად მდიდარ რეგიონებს. დასავლეთი მდიდარია, ჯარის გამოყენება არც დასჭირდება, ამ სიმდიდრით შეძლებს გავლენის სფეროების ხელში ჩაგდებას. არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს მხოლოდ დასავლეთს. რუსეთს აღარა აქვს. ჩემის აზრით, დასავლეთის წინაშე დგას დილემა — ხელი შეუწყოს კავკასიელი ხალხების გამათავისუფლებელ მოძრაობას და ამით გაზარდოს თავისი გავლენის სფეროები მისთვის საინტერესო რეგიონებში. და მეორე, თუ ეს ხელშეწყობა არ იქნება დაზღვეული და კავკასია ძალიან გაძლიერდება, მაშინ რუსეთის გავლენის სფეროების გარკვეული ნაწილი შეიძლება დაადგეს კავკასიის გზას, ანუ მანაც მოისურვოს დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება, ე. ი. დასავლეთი შეეცდება ისეთი დოზით დაეხმაროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას კავკასიაში, რომ შეასუსტოს რუსეთის გავლენა, მაგრამ არ შეასუსტოს თავისი პერსპექტიული გავლენა ახლო აღმოსავლეთსა და წინა აზიაში. რადგან ერთიდაიგივე პოლიტიკურ წრეებზეა დამოკიდებული ორი ურთიერთგამომრიცხავი პრობლემის დარეგულირება, ეს იწვევს ალოგიკურობის შეგრძნებას, ვთქვათ, ჩვენში, ქართველებში, დასავლეთის პოზიციის გამო. ეს არის დიდი პოლიტიკის თემა. პირადად ჩემი მოსაზრება შეიძლება არ იყოს მთლად ზუსტი დეტალებში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ ინტერესებს, რომლებიც ამოძრავებს ამ სახელმწიფოებს, დავინახავთ, რომ ლოგიკურად ასე უნდა იყოს. რას შეუძლია გახსნას ფრჩხილები და ყველაფერი დააყენოს თავის გზაზე? დასავლეთი, (რუსეთი დასავლეთის დანამატია ამ შემთხვევაში და მეტ-ნაკლებად მისი ნებასურვილის აღმასრულებელი) ცდილობს არ დათმოს თავისი პოზიცია. მას ესმის, რომ არ გააჩნია ამის ძალა, არც რუსეთის სამხედრო პოტენციალი, (ერაყის ომმა ეს დაადასტურა, მისი სამხედრო ძლიერების მითიც გაქრა), ეკონომიკურზე ხომ საუბარიც არ არის, ამიტომ ის ვაჭრობს ტაქტიკას ადგას და თანხებისა და ეკონომიკური უპირატესობის გამოძალვას ცდილობს. თავისი ძველი, ძლიერი და აგრესიული საგარეო პოლიტიკის აღდგენაზე კი ფარულად თუ ოცნებობს.

— რით ახსნით დასავლეთის პრესის ტენდენციურობას?

— დასავლეთის თვალში (ოფიციალურ წრეებზეა საუბარი და არა მოსახლეობაზე) ის იმიჯი საქართველოსი, რომელიც შექმნილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არის თავდაცვის ხერხი, რათა შეეძლოთ აუხსნან საკუთარ მოსახლეობას, რატომ ეშეცვიან ასე კავკასიის ხალხებს. მათ თუ არ დაარწმუნეს საკუთარი მოსახლეობა, რომ კავკასიაში დიქტატორული და სხვა მსგავსი მოვლენები ხდება, ვერაფრით გაამართლებენ თავის ამგვარ პოლიტიკას კავკასიის ხალხების მიმართ. ეს ყველასათვის ცხადია.

რა მექანიზმით ხდება ის, რომ დასავლეთის ქვეყნების მმართველთა ნება-სურვილი ავტომატურად ხდება კანონი ჟურნალისტებისათვის? გამორიცხულია, რომ იქ ყველა ჟურნალისტი მოსყიდულია, შეუძლებელია მთელი საინფორმაციო საშუალებების მოსყიდვა და მათი კონტროლი.

იქ მცხოვრებს, ვთქვათ, ამერიკელს, სხვაგვარი მსოფლაღქმა აქვს. ამერიკელ ჟურნალისტს, ამერიკელ მოქალაქეს, სახელმწიფო ინტერესები მიაჩნია უმაღლეს ფასეულობად. ამერიკის სახელმწიფო ინტერესების გამო მან შეიძლება სისამართლეზე თვალი დახუჭოს. დასავლეთის მოქალაქეებმა და ჟურნალისტებმა იციან, რომ ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია გარკვეულ საკითხებში არ არის ვიღაცის კაპრიზი ან ვიღაცის ცუდი პოლიტიკის შედეგი. ეს არის ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, პოზიცია, როდესაც ბუში ამბობს, რომ საქართველოში არის დიქტატორული რეჟიმი, ჟურნალისტებმა იციან, რომ ასეთი პოზიცია უნდა დაიკავონ, ასეთი ფაქტები უნდა მოძებნონ და მიაწოდონ მკითხველს, მათთვის გასაგებია, რომ ეს დაკავშირებულია ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებთან. იქ მოქალაქე და ჟურნალისტი თავისი სახელმწიფოსთვის ზრუნავს და პროფესიონალი ამერიკელი ჟურნალისტი ჟურნალისტური სილოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს კონტროლი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რადაც არ უნდა დაუჯდეს. მან ეს უნდა გააკეთოს კანონის ფარგლებში და სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების საშუალებით. მან უნდა განახორციელოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური სტაბილიზაციაც. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დასავლელმა კერძო მეწარმემ საქართველოში იმოვოს საიმედო პარტნიორი და ამ მხრივაც დასავლეთი დაინტერესდეს საქართველოსთან ურთიერთობით, ეს უნდა მოხდეს პრაქტიკულად კავკასიის ყველა რეგიონში.

ურყევი რწმენა, სურვილი კავკასიელი ხალხისა, რომ იყოს დამოუკიდებელი, პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერავინ გვენდობა, ისინი ვერ შეასრულებენ, შესაბამისად, ვერც პოლიტიკურ და ვერც ეკონომიკურ ქმედებას, რომლებიც ჩვენთვის ძალზე საჭიროა. ყველა, ვინც დღეს ებრძვის კავკასიაში სტაბილიზაციას, პრინციპში კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, გაცნობიერებული აქვს ეს მას, თუ არა...

რეალური ძალა კავკასიის დესტაბილიზაციისაა არის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები. მათი მოქმედებები ყველგან, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში, არის იქ დაღვრილი სისხლის. არეულობის საფუძველი. ამ ძალების საშუალებით ხდება სხვადასხვა ჯგუფის სეპარატისტების, ტერორისტების მოქმედების გაქტიურება. პოლიტიკური ოპოზიციის ერთი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული მოსკოვთან. ისინი არც მალავენ, რომ დაბრძანდებიან მოსკოვში, აქვთ ურთიერთობა იმათთან, ვინც კურირებს კავკასიის პრობლემებს, უპირველეს ყოვლისა შევარდნაძესთან, რომელიც გახლავთ კავკასიის „კარგად მცოდნე“. და ამიტომ ყველა ეს ძალა, ნებსით თუ უნებლიედ, მართული არის მოსკოვის მეშვეობით დასავლეთის მიერ.

ჩემის აზრით, ფსიქოლოგიურად ადამიანის მოტყუება ძალიან ძნელია იმით, რომ მოსკოვისა და რუსეთის მეშვეობით სიკეთეს მოვუტანთ საქართველოს. ამიტომ არის საჭირო ძლიერი დახმარება დასავლეთის ინფორმაციის საშუალებებისა და ოფიციალური პირებისაც კი.

მე მაინც მიმაჩნია, ჩვენი მომავალი იქნება ისეთი, როგორიც ჩვენ ყველას, კავკასიაში მცხოვრებ მრავალმილიონიან ერებს, გვსურს. არის ყველა წინაპირობა იმისა, რომ აღდგეს საერთო კავკასიური ცნობიერება, ამის კლასიკური ნიმუშია ჩეჩნეთის და ინგუშეთის პროცესები, რომელიც დაღესტანსა თუ ყაბარდო-ბალყარეთშიც შეინიშნება, ძირითადი სახელმწიფოების — სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს წინაშე დგას მოლაპარაკების საჭიროება და ყველა სომეხმა, ქართველმა, ჩეჩენმა, ინგუშმა, აფხაზმა, აზერბაიჯანელმა, ადიღელმა, ყველამ, უნდა მიიღოს გარკვეული გარანტია მშვიდობიანი თანაცხოვრებისა. ამას, რა თქმა უნდა, დღეს წინააღმდეგობას უწევს მოსკოვი, ანუ მაქსიმალურად დასავლეთიც, მაგრამ ჩვენ ერთად გვიცხოვრია და ერთმანეთს ვერსად გავექცევით, ერთმანეთის მეზობლები ვართ და ბოლოსდაბოლოს ყველა მივა იმ შეგნებამდე, რომ ასეთი სამშვიდობო ინიციატივა აუცილებლად უნდა განხორციელდეს. თუ არ ვცდები, ასეთი ინიციატივა ბატონმა ზვიადმა გამოიჩინა ერთხელ, თუმცა, მას ჯერ შედეგი

(დასასრული 3ე-4 გვ.)

დამშრალი ზღვა
და
ჭაობიანი უდაბნო

კომუნისტებმა მრავალი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. მილიონობით ადამიანი მოკლეს, ძალადობა აწარმოეს მთელი ერების, კლასების, თაობების მიმართ. ამას უამრავი სისხლი, დამახინჯებული ცხოვრება და სამომავლო გართულება მოჰყვა. ჩვენ დღემდე ვუხდით ხარკს ბოლშევიკურ სასაზღვრო პოლიტიკას, რომლის შედეგად დაგვრჩა — „შეკორტნილი“ ტერიტორია და სრულიად გაუგებარი სამი ავტონომია, რომელიც ჩვენზე მანიპულირებისა და დაწოლის საშუალებას აძლევს იმპერიას.

რაც არ უნდა მძიმე იყოს ის შედეგები, რომელიც ამგვარ პოლიტიკას მოჰყვა, ისინი მაინც თავსდებიან ადამიანურ ფარგლებში. სამწუხაროდ, მსოფლიოს ვერც სისხლით, ვერც მიტაცებული ტერიტორიით, ვერც მსხვერპლით, ვერც პატარა ერების ჩაგვრით ვერ გავაკვირვებთ. მაგრამ არსებობს რაღაც, რაც კომუნისტებსა და მათ მმართველობას გამოარჩევს ყველა დროისა და მასშტაბის ბოროტებისაგან. კომუნისტებამდე ბოროტება **ადამიანურ** კანონებს პრღვევდა. კომუნისტებმა **სამყაროებრივი** კანონები დაარღვიეს — **მათ ამოაშრეს ზღვა...** და **დაჭაობეს უდაბნო** — ყველაზე სრულად ეს უცნაური, თითქოს უაზრო, გაუგებარი მოქმედება გამოხატავს კომუნისტური მმართველობის არსს. ზღვის ამოშრობა და უდაბნოს დაჭაობება ცალკე განყენებული მოვლენები არ არის, ეს გახლავთ მეტად ტევადი, გამომხატველი მეტაფორა იმ სამოცდაათწლიანი მოღვაწეობისა, რომლის შედეგად დაგვრჩა უმძიმესი მემკვიდრეობა ყველა დარგში და რაც მთავარია, ძალიან დიდი ხნით დაგვიმახინჯა სიცოცხლე იმიტომ, რომ ამ საშინელი პერიოდის მანძილზე **ჩვენს თვალწინ ყველა ცნებას შეეცვალა შინაარსი.** სიმართლე იქცა სიცრუედ, სიცრუე სიმართლედ. უმცირესობა უმრავლესობად მოგვაჩვენეს, უმრავლესობა უმცირესობად, მოყვარე მტრად გამოცხადდა, მტერი მოყვრად; ერისათვის თავდადებულს მავნებელი დაერქვა, მავნებელს — გმირი. უზნეობა ზნეობად ჩაითვალა, ზნეობა უზნეობად, ბეზღობა, დასმენა, გამყიდველობა ნორმად იქცა, პატიოსნება — გმირობად. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყაჩაღად მოინათლა, ორჯონიკიძე განმათავისუფლებლად.

რახან დიდი მასშტაბებით დაირღვა სამართალი, პატარაშიც — კერძო, პირადულშიც აირია სათვალავი. საზოგადოებაში მოიშალა ზნეობრივი ნორმა, მორალი, ჯანსაღი თანაარსებობის ეთიკური პრინციპები და ყველაფერი ეს მეტმა თუ ნაკლებმა კეთილყოფამ შეცვალა, მცირედმა მორალმა და მცირედმა სიყვარულმა მოყვასისადმი. მრავალათეული წლით საუკეთესო დროზე ოცნებად იქცა დიდი სიყვარული, დიდი თავდადება. დიდი შეწყნარება.

ჩვენ ახლა იმ მიჯნაზე ვდგავართ, როცა საზოგადოებამ უნდა აღიდგინოს თავისი ბუნებრივი არსებობისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი ნორმები. უპირველესად ყველა, უკლებრივ ყველა ცნებას უნდა დაუბრუნდეს თავისი მნიშვნელობა. ჩვენს ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის ყველაზე რთულ საქმედ სწორედ ეს მეჩვენება. საოცდაათწლიანმა [illegible] ჩვენში ზნეობრივი დეფორმაცია გამოიწვია.

არავისთვის საწყენად არ მინდა დარჩეს ეს წერილი, მაგრამ დგება ჟამი, როცა სხვა გამოსავალი არ არსებობს და იძულებული ხარ ყველაფერს თავისი სახელი უწოდო. მთელი დღევანდელი კამპანია დემოკრატიისათვის, სხვა არაფერია თუ არა მცდელობა, ერი დაამბრუნონ დამშრალი ზღვისა და ჭაობიანი უდაბნოს ქვეყანაში.

ვერანაირი ზოგადსაკაცობრიო იდეალი ვერ გაამართლებს ბრძოლას საკუთარი ერის თავისუფლების წინააღმდეგ. ეს სამარცხვინო ბრძოლაა. ერი, რომელიც დღეს იბრუნებს ღირსებას, სამართალს, მორალს ვერ მოტყუვდება უცხო, ლამაზი, ჰუმანური სიტყვების თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით. ყველაზე დიდი ბოროტება ყველა დროს სიკეთის სახელით ხორციელდებოდა, მსოფლიოში არც ერთ მოღალატეს არასოდეს ხმამაღლა არ

(დასასრული მე-3 გვ.)

მარადიორები

„მარადიორი“ უცხო სიტყვაა და ომში მოკლულის ან დაჭრილის მძარცველს ნიშნავს. თუ მშვიდობიან დროს ქურდსა და ყაჩაღს სამოქალაქო სასამართლო სჯის, ომის დროს მას სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებს და სასჯელიც, როგორც წესი, უმკაცრესია. ასევე მკაცრია სასაჯელი ხანძრის, მიწისძვრის და სხვა სტიქიური უბედურების დროს ჩადენილი დანაშაულისთვის.

ახლა საქართველოში ომია; ომი დაუნდობელი; ყველა ხერხით და ყველა საშუალებით: დეზინფორმაციით დაწყებული და **„ბეტეერებით“** დამთავრებული. **იმის ეშველებიც** კი გაჩნდა, რომ რაღაც **საიდუმლო** გეოდეზიურ იარაღსაც კი **იყენებენ** ურჩი რესპუბლიკების **წინააღმდეგ.** ამ საკითხში კი საზოგადოება ერთსულოვანია: თუ აქვთ — გამოიყენებენ, სინდისი არ შეუშლით ხელს და ნამუსი.

ჩვენს გაჭირვებას დაემატა საქართველოში ჯერ არნახული ძარცვა-იყაჩაღობაც. კრიმინალური სამყაროს ასეთი თავაშვებულობა იმასაც აფიქრებინებს კაცს: ესეც ხომ არ არის ინსპირირებული. ხომ არ ამოქმედდნენ ისინი, ვისაც ლენინი „ჩვენთან სოციალურად ახლობელ ელემენტებს“ უწოდებდა, ანუ კრიმინალური სამყარო?

აწიოკებულია სოფელი, აწიოკებულია ქალაქი. ქართველმა კაცმა აღარ იცის საით მიმართოს მარჯვენა, რომელ ერის ებრძოლოს. ხელისუფლებას ადანაშაულებენ: ვერ უვლიანო ქვეყნას, რა დღეში ჩაგვაგდესო. მთავრობა თუ უსუსურია და კანონის დაცვის თავი არა აქვს, ჩვენ მაინც მოგვცეს იარაღი და უფლება, თავდაცვის რაზმები შევქმნათო. იქნებ ამ ძალების მიზანიც სწორედ ანარქიაა?

ეჭვს აძლიერებს ერთი პარადოქსული მოვლენაც: პუტჩის დღეებში უცნაური პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა კრიმინალურმა სამყარომ. ვინ დაიჯერებს, რომ მათ დემოკრატიის ან თუნდაც, სამშობლოს სიყვარული ამოძრავებდათ და რომ ეს ის ხალხია, ვისაც საქართველოს გახსენებაზე ცრემლი ადგება ხოლმე თვალებზე? იქნებ სტალინის, ჯუგაშვილის, კრასინის და მათი სხვა **წინამორბედების** **პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების** მაგალითი ათამამებდათ? **იქნებ** სურდათ ბოლივიის მსგავსად სახელმწიფო კრიმინალურ მაფიას ჩაეგდო ხელში? ჩვენსავით პატარა ქვეყანაში ეს შესაძლებელია. ბოლივია ამერიკამ გადაარჩინა. ჩვენ ვინ გადაგვარჩენს, რუსეთი? პირიქით. ყოველ შემთხვევაში, ეს პარადოქსი უნდა აიხსნას და მე მგონია, რომ ეს ამოცანა მილიციის კომპეტენციას სცილდება.

სახელმწიფო სტრუქტურების ნორმალურ ფუნქციონირებას დიდად უშლის ხელს ის ხალხიც, ვინც ჯერ არსად არარსებული, იდეალური დემოკრატიის მოთხოვნით ეძიძგილავება ხელისუფლებას. დადიან რუსეთში, დადიან საზღვარგარეთ, აბეზღებენ მთავრობას, აბეზღებენ ქართველ ერს: ბრმები, მონები, შოვინისტებიო. აქაც გენეტიკურმა ქართულმა ნაკლმა იჩინა თავი, — არც ერთი სხვა ერის შვილი არ იქცევა ასე. დემოკრატია გვინდაო ახლავე, ამ წუთშიო. არ იკითხავთ სად? ჯერ კიდევ საბჭოთა მორალის მქონე ადამიანებში! არ იკითხავთ როდის? ომის დროს!

არა მგონია, ამ ხალხს უკეთ ესმოდეს დემოკრატია, ვიდრე ეს ესმით, მაგალითად, ინგლისელებს. იშვიათად ნახავთ ინგლისელს, რომელიც არ ემდუროდეს თავის მთავრობას. ამაში ძალიან ვგავართ მათ, მაგრამ იგივე ინგლისელები, როდესაც მათ ქვეყანას ხიფათი დაემუქრა, „ვილი, ვილი“-ო ასე გაჰყვიროდნენ და თვალებში შესციცინებდნენ უინსტონ ჩერჩილს. იმ დროს „ვილი“ იყო საჭირო და იმიტომ!

დღეს საქართველოს უფრო უჭირს, ვიდრე ინგლისს უჭირდა იმ დროს. გაცილებით უფრო უთანასწორო ბრძოლაში ვართ ჩაბმული, მაგრამ ინგლისელებისგან განსხვავებით ძალიან გვეჭირს ეროვნული მიღწევა. ომერთმა ქნას, დაკარგვის დრო, რომ საფიქრი გვქონდეს: [illegible] **გვჭირდება** ერის მეთაურად — [illegible] რეკი მებრძოლი თუ ვაჭრობის ან ეკონომიკის რომელიმე დარგის სპეციალისტი.

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ომის და მშვიდობიანი დროის კანონები განსხვავებულია. ჩვენთან ომია და კანონიც შესაბამისი უნდა იყოს, თუ გვინდა ამ ომში გამარჯვება.

დღეს ყაჩაღი და მოძალადე მხოლოდ ყაჩაღი და მოძალადე აღარ არის. დღეს იგი „მარადიორია“. ხოლო „მარადიორობას“ იმ კანონებით უნდა ვებრძოლოთ, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს.

„მარადიორი“ უცხო სიტყვაა და ქართული შესატყვისი არა აქვს.

მანუჩარ ლანჩავა,
მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

სამადლობელი თავდადებისთვის

საქართველოს ისტორია უამრავ საუკუნეს ითვლის. ბევრი საესქადულო მამულიშვილი იშვა ჩვენს მიწაზე. სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა რიცხვი მოუთვლელია, ქართველი ხალხი კი, ბრძენი და მადლიერი, ყველას თავისას უზღავს, „კეისარს კეისრისას...“

ჭეშმარიტი პატრიოტი, მოყვარული სრულიად საქართველოსი (და არა თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის) თავდადებისათვის სამადლობელს არასდროს ვინოდა. დღეს სხვა დრო დაგვიდგა...

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებით წარმოჩინდა ერთი ტენდენცია, უმრავლესობა ერისაგან ითხოვს მადლობას თავისი წარსული დამსახურების საფასურად. არის განუწყვეტელი შეგონება და საუბარი იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას მოუძღვის როგორც საკუთარი პროფესიის, ასევე სამშობლოს წინაშე. რადგან ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ თითოეული ჩვენგანი მცირედ გარჯასაც ოქროს ფასად ვრწყავთ, ყველას თავისი მივაგოთ, გავიხსენოთ ქართველი ინტელიგენციის კეთილი საქმენი და ქედი მოვუხაროთ მათ.

ელდარ შენგელაია — გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, მისი შესანიშნავი ფილმები საზოგადოების უმრავლესობამ (მათ შორის მეც) თითქმის ზეპირად იცის. საქართველოს ძველებედობის ჟამს იგი საბჭოთა ურჩხულს უმაღლესი საბჭოს სესიაზე პირისპირ შეერკინა. 9 აპრილის ღამეს გადაღებული ვიდეო-კასეტა თითქმის მთელს მსოფლიოს უჩვენა, რისთვისაც მადლობას ვუძღვნით!

თუმცა მისი კეთილშობილური ქმედება უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან საბჭოური და უცხოური საგენტოები ყველა პრობლემას ტენდენციურად აშუქებდნენ, მაგრამ მან ხომ გარჯა არ დაიშურა, რომ კეთილანწყობილთ მაინც გაეგოთ სამართლე.

აი იმ დღეთა ქრონიკა: სრული დეზინფორმაცია რუსულენოვან გაზეთებში; ევროპა-ამერიკის პრესა ერთგულად იმეორებს იმპერიისგან შეთითხნილ ჭორებს; უკიდეგანო ცინიზმი სესიის დარბაზში; რექტორის პრესტიჟული თანამდებობა დამნაშავე გენერალ როდიონოვს და თვით ერთი შეხედვით ობიექტური პოლიტიკური შეფასება თბილისის ამბების — უსუსური და დანაშაულებრივი.

არ იფიქროთ, ბატონებო, რომ ქართველი ხალხი ამაში ბატონ ელდარს ადანაშაულებს; პირიქით, ერი გულმოდგინედ უხდის მადლობას გარჯისათვის და საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად ირჩევს.

გულწრფელად გეტყვით, დიდის სიფაქიზით მინდა შევეხო **გიორგი ხაინდრავას** ღვაწლს ერის წინაშე. სიფაქიზით იმიტომ, რომ დღეს იგი პატიმარია და ჩვენგან უხერხული იქნება საუბარი ადამიანზე, რომელიც მოკლებულია პასუხის გაცემის შესაძლებლობას. მოკლედ მოგახსენებთ, ბატონო გიორგი, ქართველი ხალხი მადლობას გიხდით, რომ არ უღალატეთ მას და საკუთარ პროფესიას, ვიდეო-კასეტის გადაღება შესაძლოთ მტერთა სამხილებლად; თუმცა სიყვარული, პატივისცემა, პოპულარობა არ დაგკლებიათ ერისაგან.

ჭალბატონო ლანა! — თქვენი პატრიოტული შემართებისთვის იმ ავბედით დღეებში, ქართველი ხალხი დიდ მადლობას გიხდით! ალბათ, ამან განაპირობა ერის გულისხმიერება თქვენს მიმართ... ერთ საბედისწერო შეძახილამდე — „სისხლი უნდა დაიღვაროს!“.

ყველა ადამიანის მოქალაქეობრივი ღირსება, სამშობლოს წინაშე ღვაწლით განისაზღვრება. ჩვენ ვცხოვრობთ იმისთვის, რომ ჩვენს შემდგომ „მომძეთა ჩვენთა სავალი გზისა გაუადვილდეს“, მერწმუნეთ, მომძეთა სისხლით მორწყული „დემოკრატიული“ გზა, ვერაფერი საამაყოა კეთილშობილი, მართლმადიდებელი ერისათვის.

კიდევ ერთი სამსახურისთვის გიხდით მადლობას სამშობლო, ქალბატონო ლანა! პირველმა თქვენ ამხილეთ ე. ა. შევარდნაძე და გაამზეურეთ მისი საბჭოთა ჯარებთან ერთად თბილისში ჩამოსვლა. მახსოვს, მაშინ მას „თეთრი მელა“ უწოდეთ. დღესაც ამ ეპითეტით მოიხსენიებენ მის უდემოკრატიულობას, თუმცა მეეჭვება, თქვენ დღესაც იმეორებდეთ მისთვის ესოდენ სხარტად შერჩეულ სახელს.

მადლობას ვუხდით ბატონ **ავთანდილ იმნაძეს** მაღალზნეობრივი და მორალური საქციელისთვის, რომელმაც არ გასწირა მეგობარი და ციხის გზას არ გაუყენა ბატონი ნემო ბურჭულაძე, თუმცა ამის საშუალება ჰქონდა.

ერი მოვალეა მადლობა გადაუხადოს ბატონ **გიორგი ხარაბაძეს.**

გმადლობთ, ბატონო გიორგი! თქვენ ჭუჭყიანი დეზინფორმაციით გულდამძიმებულ ქართველობას იური როსტის მართალი ფოტომატიანეთი დარდი და ნაღველი შეუმსუბუქეთ.

ვინ იცის, რამდენი „სასიქადულო“ მამულიშვილი დაგვრჩა უყურადღებოდ! გამოგვეხმაურეთ, მოგვაწოდეთ „ამბავი საქმეთა კეთილთა“, ჩვენ კი, წინასწარ, ყველას, ვისაც სიტყვა შეუწევია, რაიმე შეუწირავს, რაიმესთვის გარჯილა, სიცოცხლე საფრთხეში ჩაუგდია მამულისთვის, დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ბაია ხვანიძე

არაპოლიტიკური პრობლემები დღეს არ არსებობს

გთავაზობთ ინტერვიუს ტელევნებათმცოდნე ბაია ერისთავთან.

— როგორ აფასებთ დღევანდელ მოვლენებს?

— ვფიქრობ, დღეს ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და დაძაბულ პერიოდში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას წინ ეღობება იმპერიის ახალი ფორმით შენარჩუნების ინტერესები. და რაც უფრო ახლოვდება საქართველოს დამოუკიდებლობა, მით უფრო ძლიერდება დაწოლა ცენტრის მხრიდან. ამასთან, ცენტრის პოლიტიკა მოქნილი გახდა. დღეს იმპერია საუბრობს „საერთო სახლზე“, „საერთო სივრცეზე“, „საყოველთაო დემოკრატიაზე“, რითაც ცდილობს თავისი ზრახვების რეალიზაციას და ამა თუ იმ ფორმით კავშირის შენარჩუნების. ამიტომ ყველას გვმართებს დაფიქრება და სწორად გააზრება ამ ისტორიული მომენტისა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოვჩნდებით იმ „საერთო სახლში“, სადაც, ალბათ, გაიფურჩქნება „დემოკრატია“, მაგრამ შესაძლოა საბოლოოდ დავემშვიდობოთ საქართველოს დამოუკიდებლობას.

— თქვენი წრის უმრავლესობას ხაწინააღმდეგო პოზიცია აქვს. რით ხსნით ამას?

— უნდა ითქვას, რომ პირიქით, უმრავლესობა სწორედ ჩემს პოზიციას იზიარებს.

— შეიცვალეს თუ არა თქვენს მიმართ დამოკიდებულება თქვენმა „ოპოზიციონერმა“ მეგობრებმა?

— ვფიქრობ, რომ არა, ვინაიდან ჩემი პოზიცია მათთვის საკმაოდ ცნობილია უკვე კარგა ხანია.

— არსებობს რაიმე კანონზომიერება იმაში, რომ თქვენ „აქეთ“ მხარეს აღმოჩნდით?

— არ ვიცი, რამდენად შეიძლება კანონზომიერებაზე საუბარი, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეაზე მაღლა არაფერი არ უნდა იდგეს.

— რა მიგაჩნიათ დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ არაპოლიტიკურ პრობლემად?

— მიმაჩნია, რომ დღეს არაპოლიტიკური პრობლემები არ არსებობს, ვინაიდან ყველა პრობლემა პოლიტიკასთანაა დაკავშირებული.

— იზიარებთ მოსაზრებებს პრეზიდენტის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ?

— ნაწილობრივ, ვფიქრობ, შეუცდომელი ადამიანი არ არსებობს და, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო შეცდომების არდაშვება იმ მემკვიდრეობის ფონზე, რაც კომუნისტების 170-წლიანმა მართვამ შექმნა. მაგრამ, ჩემის აზრით, მთავარი პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებს პრეზიდენტი, სავსებით სწორია. საერთოდ უფრო ადვილი იქნება პრეზიდენტის შეცდომებზე საუბარი მას შემდეგ, რაც ყველა გააცნობიერებს თავის საკუთარ შეცდომებს, დაშვებულს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლოდ ნაციონალისტურ პარტიაში თუ შევიდოდი

„ყველაფერი მიმართული უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ“

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია ცნობილი ქართველი მოქანდაკე და ფერმწერი, ქართული ეროვნული ჰედური ხელოვნების თანამედროვე სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, პროფესორი, ბატონი ირაკლი ოჩიაური.



— ბატონო ირაკლი, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება საქართველოში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, „ოპოზიციისა“ და კანონიერი ხელისუფლების მოღვაწეობისადმი.

— ეს კითხვა ისეთივე რთულია, როგორც დღევანდელი პოლიტიკური მოვლენები. პირადად ჩემთვის, ერთობ შემაშფოთებელია ის, რაც ხდება. ნაცვლად იმისა, რომ ყველანი ვცდილობდეთ ძალების მაქსიმუმი მოვახმაროთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს, მეჩვენება, რომ გარკვეული ნაწილი ქართული საზოგადოებისა, როგორღაც გულგრილია ამ უწმინდესი იდეისადმი. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, რომ ზოგიერთი აშკარად წინააღმდეგია დამოუკიდებლობისა.

რაც შეეხება ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას დღევანდელ სიტუაციაში, ვთვლი, რომ ამ ურთულეს პირობებში, შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ თავი დაავალწიროთ რუსეთის ბატონობას. ცხადია ისიც, რომ იგი ნამდვილად გამოხატავს ერის უდიდესი ნაწილის ნებას. მიკვირს, როგორ შეიძლება ვინმე იყოს გულგრილი ერის ნების, ჩვენი უპირველესი მიზნის მიმართ. განსაკუთრებით მოაცებს ჩვენი საზოგადოების მოსაზრება, რომ მთავარია დემოკრატია და არა საქართველოს დამოუკიდებლობა. პირადად მე, დემოკრატია ამ ეტაპზე ნაკლებად მაღელვებს. მოდიფიკაცია კი იმისა, თუ როგორი იქნება მომავალი ქართული სახელმწიფო, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობის საქმეა. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩემთვის უმთავრესია დამოუკიდებლობის საკითხი.

— მოგეხსენებათ, საქართველოში დღეს ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია და პარტიაა. მათი არც თუ მცირე ნაწილი, ჩვენდა სავალალოდ დაუპირისპირდა ეროვნულ ხელისუფლებას. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

— მაწუხებს ის ამბავი, რომ ჩემი სუბიექტური აზრი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში გავრცელებულ აზრს, ალბათ, არ დაემთხვევა. ვისურვებდი, ვფიქრობდე ისე, როგორც მთელი საზოგადოება. ვგონებ, პარტიების ესოდენი სიმრავლე საქართველოში კარგს არაფერს მოგვიტანს. ეს არის ჩვენი ძალების, ეროვნული ენერგიის დაქსაქსვა. დაქსაქსვას ვინლა ჩივის, — ეს ძალები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ვერავითარი იდეები, დამოკრატიისა და პლურალიზმზე ლაპარაკი, ამას ვერ გაამართლებს. ამდენად, ჩემის ზრით, უმჯობესია საქართველოში იყოს პოლიტიკური პარტიების მინიმალური რაოდენობა. ეს ქართული ეროვნული ხასიათიდან გამომდინარეც არის აუცილებელი. იმასაც კი ვიტყოდი, რომ დღევანდელ პირობებში ბევრად უფრო მეტს მივაღწევდით ეროვნული იდეის მატარებელი, ძალების მაკონსოლიდირებელი ერთი პარტიით. ამას არაფერი აქვს საერთო ავადსახსენებელი კომუნისტური რეჟიმის მონოპარტიულობასთან, რომელიც სრულად იყო მოწყვეტილი ეროვნულ იდეას. თვითონ მე არ ვეკუთვნი არც ერთ პარტიას. შესაძლოა, ეს ჩემი შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს. მხოლოდ ნაციონალისტურ, ეროვნულ პარტიაში თუ შევიდოდი. ჩემდა გასაოცრად, ასეთი პარტია დღესდღეობით არ არსებობს. თუმცა, ჩვენი ცხოვრების დღევანდელი დინება სწორედ ასეთი მონოლითური, ეროვნულ ძალთა მაკონსოლიდირებელი პარტიის არსებობას მოითხოვს.

— მოგეხსენებათ, ამ ბოლო დროს, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ცუდი ფორმით გაიყო აზრი ინტელიგენციის შესახებ. ის ხალხი, ვინც თავის თავს „ინტელიგენციის ნაღებს“ უწოდებს, რატომღაც დაუპირისპირდა როგორც ქართველი ერის უდიდესი ნაწილის ნებას, ასევე გარკვეულწილად, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასაც. ბატონო ირაკლი, თუ შეიძლება გაგვაცნოთ თქვენი, როგორც ქართველი ინტელიგენტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

— მე მგონი, თქვენს კითხვაში ფაქტები სავსებით მართებულადაა გაშუქებული. ჩემი პასუხიც ამ კითხვაზე, ემთხვევა საკითხისადმი თქვენს დამოკიდებულებას. მე ვთვლი, რომ ეს ე. წ. „ნაღები ინტელიგენცია“, რომელსაც ზოგი „წითელ“ ინტელიგენციას უწოდებს, ზოგიც „ორდენისანს“, სინამდვილეში მართლაც უპირისპირდება ქართველი ერის უდიდესი ნაწილის ნებას და ვერაფერს სასარგებლოს ამაში ვერ ვხედავ, პირიქით, იგი ზიანის მეტს არას მოუტანს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას. მხედველობაში მაქვს პოლიტიკური მოღვაწეობა, თორემ ბევრი მათგანი თავის დარგში მართლაც მაღალი რანგის პროფესიონალია.

ყველაფერს რომ ავიღ-დავანებოთ, როდესაც ქართველი ერის ძირითადი, უდიდესი ნაწილის რაღაც ერთი კონკრეტული იდეის სამსახურში დგას, მეტადრე თუ ეს იდეა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირდება, ყველა ვალდებულია, ამ იდეას ემსახუროს. ამდენად, ინტელიგენციის ამ ნაწილის დაპირისპირება ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობისადმი, უარყოფით მომენტად მიმაჩნია, რომელიც დიდად წვავს უკან ჩვენი დამოუკიდებლობის საქმეს.

— ბატონო ირაკლი, ამ ბოლო დროს საქართველოში მოქმედ ოპოზიციონერთა და ქართულ ემიგრანტულ წრეებს შორის, რომელთა ინტერესების გამომხატველად გვევლინება რიგი პერიოდული გამოცემებისა, ხშირად გაისმის აზრი იმის შესახებ, თითქოს ნაციონალიზმს ხაზოგადოება მიჰყავს გარდუვალ ტოტალიტარიზმამდე და დიქტატურამდე, თითქოს იგი ძირშივე ეწინააღმდეგება დემოკრატიის ცნებას. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

— ზემოთაც მოგახსენეთ, რომ მე ვარ აშკარა ნაციონალისტი (ამ სიტყვის კარგი გაგებით). სხვანაირად ვერც კი წარმომიდგენია დღეს ნამდვილი ქართველი. საქმე ის არის, რომ ნაციონალიზმი, ქართული ნაციონალიზმი, ჩემის აზრით, მკვეთრად განსხვავდება ნაციონალიზმის ევროპული გაგებისაგან, ანდა მისი ქრესტომათიული განმარტებისაგან. ევროპული ტრაფარეტებით მასზე მსჯელობა შეუძლებელია. ქართული ნაციონალიზმი გაწლავთ ბრძოლა თავის გადარჩენისათვის. ამიტომ, ეს ნაციონალიზმი აღმნიშვნელია სულ სხვა რამისა- ის არც დემოკრატიას გამორიცხავს, არც სხვა ცივილიზებულ ფორმებს მმართველობისა. საქართველოში ქართულ ნაციონალიზმს ამჟამად არ სცალია დემოკრატიული ინსტიტუტების სრულქმნისათვის, რომეთუ მიმდინარეობს ხელჩართული ბრძოლა თავის გადარჩენისათვის. ვინც ამას ვერ გრძნობს, ის აშკარად ცდება. ამიტომ, ამ ნაციონალიზმის მაგვარი განმარტება, თითქოს იგი მიგვიყვანს დიქტატურამდე, დემოკრატიული ინსტიტუტების დათრგუნვამდე, მცდარი გახლავთ. ჩემის აზრით, საზოგადოების ცხოვრებაში მთავარია არა ეს უტრირებული ცნება დემოკრატიისა, არამედ სამართლიანი საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება. საზოგადოება უნდა ეყრდნობოდეს სამართლიანობის პრინციპს. ამაში იგულისხმება დემოკრატიის ნორმებიც, ადამიანის და სხვადასხვა ეროვნებათა უფლებებიც და ყველა სხვა ჰუმანური იდეაც. ქართული ნაციონალიზმი, რომელიც მუდამ იყო კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის ეტალონი, არასდროს ლახავდა და არც შემდგომში შელახავს ზემოხსენებულ პრინციპებს. ჩვენი ნაციონალიზმი სხვა ერებთან მიმართებაში კი არ მეღავნდება, როგორც ზოგიერთს ჰგონია, არამედ თავის გადარჩენის იდეას ემსახურება. ეს არის მისი უპირველესი მოვალეობა.

— მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო დროს ბევრი მითქმა-მოთქმაა საბჭოთა იმპერიის ყოფილ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური ხელშეკრულების და მასში ჩვენი მონაწილეობის არგვლივ. ცნობილია ისიც, რომ იმ მთავრობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. სალაევი, ეწოდება „სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტი“. ამდენად, ცხადი ხდება ის ქვეტექსტიც, რომელიც ჩადებულია ამ ხელშეკრულებაში. როგორ ფიქრობთ, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებისადმი საქართველოს?

— ჩემს აზრს ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. კომპეტენტური აზრი რომ გამოთქვა, ზედმიწევნით უნდა იყო გარკვეული ამ ხელშეკრულების არსში, ეკონომიკის საკითხებში. მე კი სამწუხაროდ, არაფერი მაქვს საერთო ამ სფეროსთან. ყურადსაღებსაც ვერაფერს გეტყვით. ერთს კი ცალსახად მოგახსენებთ: თუ ეს ხელშეკრულება ოდნავ მაინც შეგვიბორკავს ხელებს, თუ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს რუსეთის მიმართ თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, მასზე ჩვენს მხრიდან ხელმოწერა, რა თქმა უნდა, არ არის სასურველი. მაგრამ, მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა რუსეთთან შეუძლებელია. იგივე ითქმის სხვა რესპუბლიკებზეც.

— ბატონო ირაკლი, ეს შეკითხვა უფრო თქვენი პროფესიული მოღვაწეობის სფეროს შეეხება, მაგრამ, ამავე დროს, მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ პრობლემათან. ამ ბოლო დროს, ახალგაზრდა თაობების შემოქმედებაში (ვგულისხმობ პირველყოვლისა ავანგარდისტებს) ნაკლებად იგრძნობა ის ეროვნული სული, რომელიც დამახასიათებელი იყო წინა თაობების შემოქმედებისათვის. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ტენდენციისადმი და საერთოდ, როგორ უყურებთ ეროვნულობის საკითხს ქართულ სახვით და არა მარტო სახვით ხელოვნებაში.

— იცით, ვერ ვიტყვი, რომ წინა თაობები გაჟღენთილნი იყვნენ ეროვნული სულისკვეთებით. თუ ჩემს თაობას, 50-იანელებს გულისხმობო, კიდევ არა უშავს, მის შემოქმედებას მაინც ახასიათებს ეროვნული ხელწერა. წინა თაობა კი, აშკარად პოლიტიზირებული იყო, მთავრობის დირექტივების აღმსრულებელი. ჩვენი თაობის ბრძოლა ძირითადად უაზრო „სოცრეალიზმისაგან“ თავის დახსნისა და ქართული მხატვრობის ეანთავისუფლებისაკენ იყო მიმართული. ჩვენმა თაობამ ამას დიდი ენერგია შეალია და, ვგონებ, შედეგიც კარგი მივიღეთ: განვთავისუფლდით ამ „სოცრეალიზმის“ მარწუხებისაგან. ამჟამად კი წამოვიდა თაობა, რომელსაც აღარავითარი ბარიერები და ზღუდეები არ ჰქონდა დასაძლევი. აი, ეს ე. წ. ავანგარდისტების თაობა, რომელიც გაცილებით უფრო თავისუფალია, გაცილებით უფრო ინფორმირებულია, თავის ხელოვნებაში არ ასახავს ეროვნულ სულსა და პრობლემებს. ვფიქრობ, ეს მათი დანაშაული არაა, ყოველივე დრომ მოიტანა. შეიძლება თავისი მსოფლმხედველობით მხატვარი ეროვნული იყოს, მაგრამ ეს მის შემოქმედებაში არ აისახოს. მით უმეტეს, ავანგარდიზმი ისეთი ჟანრია, რომელსაც ლიტერატურული, ეროვნული, ფსიქოლოგიური და მსგავსი ცნება არ ახასიათებს. ამის გამო, ალბათ, არც ისახავს ამ მიზნებს. ისე, რა თქმა უნდა, სასურველია, რომ მხატვრის შემოქმედებაშიც აისახოს ეს სულისკვეთება.

— დაბოლოს, ბატონო ირაკლი, ქართველებს ყოველთვის ახასიათებდათ ოპტიმიზმი, რის გარეშეც დღევანდლამდე ვერ მოვაღწევდით. აქედან გამომდინარე, მხურს დაგიხვათ ტრადიციული (ალბათ, ზეტრადიციულიც) შეკითხვა: რას უსურვებდით ქართველ ერს და როგორ გესახებათ მისი ახლო მომავალი?

— ეს კითხვა მართლაც იმდენად ზეტრადიციულია, რომ პასუხსაც ვერ ვპოულობ. რა უნდა უსურვოს მშობელ ერს მისმა შვილმა? რა თქმა უნდა, თავისუფლება, რა თქმა უნდა, ბედნიერება, განთავისუფლება სამოცდაათწლოვანი „ჯოშმარისაგან“. ჩემი უპირველესი ნატვრაა მოვესწრო იმ დღეს, რომ ყველა ქართველი იღვწოდეს თავისი ერის ნათელი მომავლისათვის. იმასაც არ ველოდი რასაც მოვესწარი, ზღაპარში მგონია თავი. დაუჯერებელია, რომ გვყავს ეროვნული მთავრობა და პრეზიდენტი, რომ მოხდა კომუნისტური სტრუქტურების სრული დემონტაჟი. დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ დიდი იმედი კი მაქვს, რომ მოკლე დროში სრულ დამოუკიდებლობას მივაღწევთ. თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე პასუხი იმდენად ცალმხრივი და უეჭველი უნდა იყოს, რომ ფიცხი კაცი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება მწყენოდა კიდეც.

ესაუბრა

ლევან ურუშაძე

დამშრალი ზღვა და ჭაობიანი უდაბნო

(დასასრული)

უთქვამს, ჩემი ხალხისათვის ბოროტება მინდა და იმიტომ ვებრძვი მას ასეთი გაფთრებითო. საქართველოში დღეს კომუნისტურ-იმპერიალისტური აქციების ფასი დავარდნილია, ამიტომ არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი, პირდაპირ არ გეტყვის, საბჭოთა კავშირს იქით გზა არა გვაქვს, დავრჩეთ მის შემადგენლობაში და ბედს ვეწევითო. ახალი სიტყვებია საჭირო, ახალი აზროვნება, ახალი კონსტრუქციული პოლიტიკა, ახალი ტყუილრნალისტებმა უნდა დაიკავონ, ასეთები იმას რა დიდი მიხვედრა სჭირდება, თვით სტალინიც რომ გაცოცხლებულიყო, დღეს ისიც არ გამოიყენებდა ტაბერიაში საქართველოს შესაბრუნებელად კომუნისტურ სიმპოლიკას. სტალინიც კი რაიზე ახალ ლოზუნგს იპოვიდა, უფრო მომგებიანს, აქტუალურს, დასავლურს, ჰუმანურს — მაგალითად ადამიანის უფლებათა დაცვას, ან უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებას.

ამიტომ, ძვირფასო ოპოზიციონერებო, გაითვალისწინეთ ერთი უდავო ჭეშმარიტება. ლოგიკური თავსატეხების დრო წავიდა. დღეს აღარავინ დასვამს კითხვას — კაცი, რომელიც დემოკრატიის სახელით ებრძვის საქართველოს თავისუფლებას — მართლა დემოკრატია თუ მოღალატეო. ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ყველა, ვინც აღუდგება წინ (რომელი იდეის სახელითაც არ უნდა მოხდეს ეს) საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩაითვლება ქართველი ერის მოღალატედ. არ გესიამოვნათ? ცხადია, მოღალატეობას, დემოკრატობა ან ჰუმანისტობა სჯობს, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ჩვენს სამშობლოშიც უნდა აღსდგეს სამართალი, ყველა ცნებას თავისი მნიშვნელობა დაუბრუნდეს, გმირს გმირი დაერვეას, მტერს მტერი, სიმართლეს სიმართლე. ამას შეეწირნენ ჭაჭუცა, მერაბი...

ხოლო თქვენს ცნობილ არგუმენტს იმის შესახებ, რომ სტალინიც გამუდმებით მტრების ძიებაში იყო, აქვე მინდა გავცე პასუხი — სტალინს არაფერი ეშლებოდა — მიხეილ ჯავახიშვილიც, გრიგოლ რობაქიძეც, ტიციან ტაბიძეც, დიმიტრი უზნაძეც, ივანე ჯავახიშვილიც და მრავალნი სხვანი, მართლა მტრები იყვნენ იმ იდეოლოგიისა, რომლის დამკვიდრებას სტალინი ცდილობდა. ის ანადგურებდა იმას, ვინც თავისი ცხოვრებითა თუ მოღვაწეობით მისი სახელმწიფოს ფუძეპრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. ერთ კოსმიურ თაღლითობაზე რომ მოგახსენეთ, სწორედ ეს იყო — ბოროტებისათვის სიკეთესთან ბრძოლა თორემ სიკეთისათვის ბოროტებასთან ბრძოლა არავის არასოდეს უსამართლობად არ მიუჩნევია და არც არავის დაუძრახავს. ისევ გიმეორებ, რადგან თვითონ სტალინური იდეოლოგია იყო ანტიეროვნული, ანუ მტრული, ყველა, ვინც მის წინააღმდეგ იბრძოდა, საქართველოს სიკეთისათვის თავდადებული გმირი იყო და დღესაც გმირად რჩება. ფაქტობრივად თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ერი დღეს ისევ იმ ანტიეროვნულ იდეოლოგიას, ინტერნაციონალისტურ-იმპერიულ პოლიტიკას დაუპირისპირდა, ხოლო ის, ვინც ერის ამ ბრძოლას ეღობება წინ, თავისდაუნებურად ან შეგნებულად კვლავ სტალინური იდეოლოგიის დამკვიდრებას ემსახურება.

საქმეს არ ცვლის ის, რომ მაშინაც და ახლაც ხელისუფლებას ინტელიგენცია (ან ის, ვინც თავის თავს ინტელიგენციას უწოდებს) ეწინააღმდეგებოდა. მაშინ ინტელიგენცია, ანუ შემოქმედებითი ელიტა, სტალინს ეროვნული ნიშნით უპირისპირდებოდა. ახლა იგივე ინტელიგენცია ისევ უპირისპირდება ხელისუფლებას, მაგრამ ამჯერად უკვე ზელასუფლებაა ეროვნული ინტერესის მატარებელი, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა იგივეა, რაც იყო სტალინის ბრძოლა ერის სულიერი ამაღლების წინააღმდეგ.

ასე რომ, ნურავის ეწყინება, თუ იმ სახელს ვუწოდებთ, რომელსაც მისი მოქმედება იმსახურებს. სტალინისტები ჩვენ კი არა, ჩვენი ოპოზიციაა. აღვადგინოთ სამართლიანობა საქართველოში, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ეს არის ერთადერთი გზა მთელი საზოგადოების გაჯანსაღებისა. ან გაემიჯნეთ საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, ბატონო ოპოზიციონერებო, ან ნუღარ გეწყინებათ, მოღალატეს და მტერს რომ დაგიძახებენ.

თამარ ეგრალიძე

გაზეთ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქციას

უმორჩილესად გთხოვთ ჩაგვრთოთ ქართველი ინტელიგენციის მოწოდების — „პროტესტს ვაცხადებთ“ მხარდამჭერთა სიაში და გამოაქვეყნოთ იგი თქვენდამი რწმუნებულ გაზეთში, რაც დიდი პატივი იქნება ჩვენთვის.

გიორგი ცაბაძე — იურისტი (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)
ალექსანდრა ცაბაძე — ფილოლოგი (დიასახლისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

(ნაწყვეტები)

გაზეთში დავიწყეთ მახალების ბეჭდვა რუბრიკით: „ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან“ და ამ რუბრიკით მკითხველებს უკვე შევთავაზეთ გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი პუბლიცისტის ხამსონ ფირცხალავას „რუსული დემოკრატიის“ შესახებ“.

=ამჯერად გთავაზობთ ნაწყვეტებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამოჩენილი მოღვაწის, ემიგრანტულ წრეებში ფართოდ ცნობილი ლიტერატორისა და პუბლიცისტის ილიდორე მანწყავას (1900-1944) შესანიშნავი სტატიიდან „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც ავტორის ხიკვდილის შემდეგ, 1978 წელს გამოქვეყნდა პარიზში, ეურნალ „კავკასიონი“-ს მე-19 ნომერში.

ილ. მანწყავა დაიბადა ხენაკის მაზრაში. დაამთავრა კლასიკური გიმნაზია, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისმეტყველების ფაკულტეტზე, რომლის დასრულებაც ვერ შესძლო აქტიური არალეგალური ანტისაბჭოთა მოღვაწეობის გამო. იგი იყო მემარჯვენე ფედერალისტთა არალეგალური ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი, 1924 წლის ეროვნული ამბოხების მზადების აქტიური მონაწილე და ე. წ. „დამკომის“ რწმუნებული. იმავე წელს დაატუსაღეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. პატიმრობიდან თავის დაღწევის შემდეგ მცირე ხანს განაგრძობდა არალეგალურ პოლიტიკურ საქმიანობას. საბოლოოდ, 1926 წელს გადავიდა თურქეთში. იმავე წლის დამლევიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში.

ილ. მანწყავა იმთავითვე ჩაერთო საფრანგეთისა და გერმანიის ქართულ სათვისტომოთა კულტურულსა და სამეცნიერო ცხოვრებაში. 1928 წელს ვიქტორ ნოზაძესთან და ედუარდ პაპავასთან ერთად დააარსა სამეცნიერო-სალიტერატურო ეურნალი „კავკასიონი“, რომელიც უმალ იქცა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს სამეცნიერო-სალიტერატურო გამოცემად. 1934 წელს ვიქტორ ნოზაძესთან ერთად იგი გახდათ საპოლიტიკო ეურნალის — „ორნატი“-ს დაარსების ინიციატორი. ეურნალი გამოდიოდა მხოლოდ არასრული ორი წლის მანძილზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ემიგრანტული პოლიტიკური აზრის განვითარებაში. 1940-1944 წლებში ილიდორე მანწყავა თანამშრომლობდა ბერლინში გამომავალ ეურნალ „ქართველ ერში“.

ილია ჭავჭავაძე

სამ ძირითად საკითხს აყენებდა: რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი უნდა ვიყვნეთ — და უპასუხებდა: ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნოდა. ახლა დავარდნილი და სხვისი შემყურე ვართ, მომავალში უნდა აღვსდგეთ.

საოცარია, როცა მინჯავთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგან ვითარებას, პირდაპირ დაუჯერებლად გეჩვენებათ ამ ადამიანის გაუტეხელი ნებისყოფა, არარაობიდან რომ უნდა რაღაცა შექმნას. ნამცეცებს რომ აგროვებს, აკოწიწებს; პატარა საქმეებით რომ იწყებს დიდ მოსამზადებელ მუშაობას, რათა ქართული ტანის ყველა ჭრილობა მოარჩინოს, ეროვნული ცხოვრება ზრდისა და განვითარების გზაზე დააყენოს.

რა იყო ეს პატარა „საქმეები“? წერა-კითხვის გავრცელება, ქართული სკოლა, ქართული თეატრი, ქართული ბანკი, ხიზნების საკითხი, სოფლის მეურნეობის კეთილმოწყობა, ქართული ენის დაცვა და პატრონობა, ახალშემოერთებულ სამუსულმანო საქართველოს დაახლოება და იქ კულტურული და ქართული მუშაობის გაჩაღება და სხვა და სხვა, რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ.

არ იყო არც ერთი საკითხი ჩვენი ეროვნული წინ-წაწევის მნიშვნელობის მქონე, რომ ილია უდიდეს ბიჯგად არ მიშველებოდა; ყველა ამ საკითხების გადაჭრაში მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. და მხოლოდ ჩვენი უვიცობით, ქონდრის კაცობით, აზრის სიმხდალით, აიხსნება ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძე თავად აზნაურობის დამცველად აღიარა მაშინ ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა. შეიძლება ილიას ზოგ რამეში არ დაეთანხმოთ, მისი რაიმე არ მოგეწონოთ, მაგრამ უდიდესი უსამართლობაა იგი მხოლოდ იმ წოდების დამცველად აღიაროთ, რომლის მთელი უარყოფითი ბუნების დახატვას, მან მოანდომა არა მარტო „კაცია ადამიანი“, არამედ მთელი მისი მხატვრული ნიჭი.

„თავადი, აზნაური, მღვდელი, ვაჭარი, გლეხი, ჩინიანი და უჩინო, ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის! — ეგ თითო თითოდ გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლებივით, რომ ცალცალკე და თავ თავად დავგორავთ ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუ თუ ეგ თვითეული ქართველი ჭგონი> ვისმე?! თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის. ის საერთო ნიშანი მაჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკუა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის. საერთო ლხინი მაჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა! მაგრამ სად არის? ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს?

— ჩვენში არის: მე თუ შენ; შენ თუ მე; და ორივენი ერთად კი არაო. — ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა!“

ასეთი უცნაური გულის ტკივილით გოდებდა ილია ჩვენს დაშლილობას, უნიადაგობას და ამ გოდების დაწმენდილი ხმა დღესაც გაუბზარავად ისმის. ვის უნდა ეზრუნა მისი აზრით ამ გაწყვეტილი ძარღვის გამთელებისათვის, ჩვენი დაშლილობის გამაგრებისა და შემტკიცებისათვის?... — მთლიანად ქართველობას, განურჩევლად სოციალური ინტერესების სხვადასხვაობისა. ყველას თავისი წვლილი უნდა მოეტანა აქ შეძლებისდაგვარად, რომ ერთიანი ძალღონით, ჩვენი თავი ფეხზე დაგვეყენებინა. მაგარი საძირკვლები დაგვესკვნა იმ შენობისათვის, სადაც ყველას თავი უნდა შეგვეფარებინა. ეგ საძირკვლები პატარა ნამცეცებიდან უნდა შეგვედგინა საკუთარი ოფლითა და სისხლით დაგვეკვეთა, საკუთარი თვითმოქმედებითა და გარჯით გაგვემტკიცებინა, რადგან სხვა მასალა ჩვენს მაშინდელ პირობებში არსად იყო.

კარგად უნდა დაკვირვებოდა ამ საქმეს ჩვენი საზოგადოება: საკუთარი თაოსნობა და საკუთარი ღვაწლი, [illegible] საერთო გულისტკივილი და ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობა, საკუთარი გარჯა და თვითმოქმედება, საკუთარი ენერგიის ძაბვა და გაწყვეტილი ძარღვის საერთო ძალღონით გამრთელება.

ეგ ისეთი საქმეა, რომ ყოველმა ქართველმა გულში უნდა ატაროს მარადიულ მზრუნველ ცეცხლად, როგორც ეროვნული მეობის განუყრელი თვისება და შინაგანი სული. თუ ეგ აზრი ყველგან და ყოველთვის არ გამოძრავებს, ისე ფეხს ვერსად გასდგამ შენი ერისა და შენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენს ხალხს, ერთბაშად ყველა ნასესხებ თეორიებსა და დოქტრინებისათვის ხელი უნდა შეეშვა, ჩვენმა მოგზაურებმა გულზე რომ ჩამოიკიდეს დიდი ლოცვა კურთხევით და ამ აზრს ჩასცვებოდნენ მთელი მისი არსებით, მთელი მისი ჯიუტობითა და ამტანობით, მთელი მისი უტეხი ნებისყოფითა და მოღვედილი ძარღვებით. იმიტომ, რომ ილიას ეგ აზრი ყველა თეორიებსა და დოქტრინებს სჯობდა და სჯობს, ჩვენი ქვეყნის გასინთავისუფლებლად და ამ თავისუფლების დასამაგრებლად, ჩვენი ეროვნული ცხოვრების გასაჯანსაღებლად, ჩვენი ეროვნული კულტურის წინ წასაწევად და გასამტკიცებლად.

ერების ცხოვრება უმთავრესად ინტერესების დაპირისპირებაა და ამ საერთაშორისო მდინარეებში, სადაც მუდმივი, შეუბრალებელი ბრძოლაა გამართული, მხოლოდ საკუთარი თვითმოქმედებით შეიძლება გზის გაკაფვა, საკუთარი ძალღონის ხარჯვითა და მისი ხელახლა ორმაგად ანაზღაურებით, საკუთარი იმედითა და რწმენით. იყო კი ეს რწმენა მაშინ საკმაოდ, ფართედ ჩვენში ფეხმომაგრებული და ძირგადგმული? — არა, სამწუხაროდ არა.

საკმაოა გავიხსენოთ ვინმე გადაგვარებული ივ. ჯაბადარის წერილები, „პისმო ო გრუზიის“ რუსულ ეურნალ „სევერნი ვესტნიკში“, ჩვენი ეროვნული კულტურული ცხოვრების და წარსულის შესახებ რომ იგრძნოთ მთელი მწვავე სუსხი, მაშინდელ ჩვენს საზოგადოებრივ გარემოს რომ სერავდა ნიღილისტური დაბრმავებით.

ილიდორე მანწყავა
ბერლინი. 1944 წ.

(გაგრძელება იქნება)

გზა, რომელიც კავკასიისათვის გაიმეტა უფალმა

(დასასრული)

არ მოჰყოლია. მოვა დრო, როდესაც ასეთი შეხვედრა კავკასიელი ხალხებისა, აუცილებლად შედგება და მე მჯერა, რომ კავკასია უნდა დაადგეს სწორედ იმ გზას, რომელიც ყველაზე უფრო მძიმეა, მაგრამ სამომავლოდ, ყველაზე უფრო პერსპექტიული. ეს არის დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის მქონე ძლიერი, ერთიანი კავკასია. ეს გზა იქნება მომგებიანი როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. ეს არის ის საკრალური გზა, რომელიც კავკასიისთვის გაიმეტა უფალმა. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა გვავალებს ვიყოთ ერთად როგორც წარსულში, როდესაც კავკასია იყო ერთიანი, ძლიერი, მდიდარი, ლაღი...

— ბატონო გიორგი, თქვენ ხუსიაზე გამოთქვით დაახლოებით ასეთი აზრი შეკითხვის სახით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა არ არის დამოკიდებული იმაზე, იქნება აქ დემოკრატია თუ არ იქნება. როგორ ფიქრობთ, აქ დროის ფაქტორია თუ რაიმე წინაპირობაა განმსაზღვრელი?

— გავიხსენოთ ბალტიისპირეთის მაგალითი. ამ რესპუბლიკებმა თავისუფლება მიიღეს ფარული შეთანხმების საფუძველზე და მათ წინასწარ აღიარეს, რომ არ ექნებათ პრეტენზია დამოუკიდებელი კურსის განხორციელებაზე. ამის დამადასტურებელი ფაქტი არის ბალტიისპირეთის მთავრობის მიერ სრული იგნორირება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა. არ არსებობს არავითარი ლოგიკური არგუმენტი, მორალურს რომ თავი დავანებოთ, რატომ არ აკეთებს ამას ბალტიისპირეთი. ამას ბალტიისპირეთი არ და ვერ გააკეთებს მანამ, სანამ ამის ნებას არ მისცემენ დასავლელი პარტნიორები. გვსურს თუ არა ჩვენ, რომ კავკასია და კერძოდ საქართველო, ისეთი უნებისყოფო ქვეყანა იყოს საგარეო პოლიტიკაში, რომ თავისი ზნეობრივი ვალი ვერ გადაიხადოს? ჩემის აზრით, ჩვენ ასეთი საქართველო არ უნდა გვსურდეს, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას იღებს ერი ან უშუალოდ, ან თავისი წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით. ასეთი საუბრის დრო მოვა და ერმა უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი.

— ხომ ვერ გვეტყოდით რაიმეს ბატონ ზვიად გამსახურდიაზე, როგორც პოლიტიკოსზე.

— მოგახსენებთ, ხალხი ბრძენია, მას არაფერი ეშლება, მართალია, ზოგიერთებს სურთ იგი ბრბოდ წარმოადგინონ, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ფაქტია, ხალხი გონიერია, იგი ყველაფერს ხედავს. არის თუ არა ბატონი ზვიად გამსახურდია პოლიტიკოსი, ამის დასტურია არჩევნების შედეგები, საქართველოს მოსახლეობის ოთხმოცდაშვიდმა პროცენტმა აღიარა იგი როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფოს ხელმძღვანელი. ხალხმა პოლიტიკოსებს შორის გააკეთა არჩევანი და ბატონ ზვიად გამსახურდიას ხვდა წილად ეს მაღალი ნდობა. რაც შეეხება პრაქტიკულ შედეგებს ბატონი ზვიადის მოღვაწეობისა, ამას ჩვენ უახლოეს ხანში ვიხილავთ, მისი დასახული გეგმა აღსრულდება, 1921 წელს დაწყებული ქართული ეროვნული მოძრაობის იდეალი აღსრულდება უახლოეს მომავალში, მაშინ ალბათ შესაძლებელი გახდება საუბარი საქართველოს პირველი პრეზიდენტის პოლიტიკურ ალღოზე, ახლა კი გარკვეული მიზეზების გამო ეს შეუძლებელია.

არის კიდევ ერთი საკითხი, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც არც თუ მაინცდამაინც გაწაფულნი არიან პოლიტიკაში, არც პროფესიულად არიან ჩაბმულნი ამ საქმეში, სერიოზულად მსჯელობენ პრეზიდენტისა და ხელისუფლების შეცდომებზე. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი უზენაესი საბჭოს სხდომიდან. იყო საუბარი რაღაც თემაზე, სადაც ყველაფერი ბოლომდე ვერ ითქვა. ბატონმა მერაბ კოკოჩაშვილმა მოპაექრეს ჰკითხა, თქვენ როგორ მიგაჩნიათ, უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა აბსოლუტურად ღია თუ უნდა იყოს ნაწილობრივ დახურული, როგორც ყველა ქვეყანაში არის და ყოფილა ოდითგანვეო. რა თქმა უნდა, მოპაექრემ, რომელიც ითხოვდა რაღაც ინფორმაციის გამჟღავნებას, ვერ უპასუხა, რომ პოლიტიკა უნდა იყოს ღია. პოლიტიკა არასდროს ყოფილა და მომავალშიც არ იქნება ღია არც ერთ ქვეყანაში იმიტომ, რომ პოლიტიკა ეხება სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესებს. არის საკითხები, რომლის წინასწარ გამომზეურება, გახმაურება არ შეიძლება. ამას შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს და არა მარტო მორალური. ამიტომ, ზედაპირული მსჯელობა ხელისუფლების შეცდომებზე ან მიღწევებზე შეიძლება, მაგრამ სასურველია ნაკლები კატეგორიულობით. ალბათ საპირო უფრო ღრმად ჩაზედვა ამა თუ იმ პრობლემაში და შემდეგ აზრის გამოთქმა და არ არის აუცილებელი ეს აზრი გამოითქვას საჯაროდ, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაზე. მოგახსენებთ, ეს წესი მუშაობს დღეს მთელს დასავლეთში, გამონაკლისის გარეშე, თუ სხვა ქვეყნის აგენტმა არ გაახმაურა ისეთი რამ, რაც არ არის მისაღები იმ ქვეყნის ადმინისტრაციისთვის. ასეთი პრეცედენტი დასავლეთში თითქმის არ ყოფილა, მიუხედავად პრესის თავისუფლებისა.

დაიდონ ხელი გულზე იმ ოპოზიციონერებმა (მე არ ვლაპარაკობ რიგით ადამიანებზე), რომლებიც აკრიტიკებენ პრეზიდენტის პოლიტიკას და თქვან, ამბობენ ისინი ყოველთვის სიმართლეს? რა თქმა უნდა, არა! ამის ფაქტებით დადასტურებაც შეიძლება. თვითონაც ხომ იციან, რომ ყველაფრის თქმა ბოლომდე შეუძლებელია. პოლიტიკა განისაზღვრება კეთილი შედეგით. მაგრამ მიზანი, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ამართლებს საშუალებებს.

ერთი წელი ძალიან მცირე ვადაა საქართველოს რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან გამოსახსნელად, ერთ წელიწადში (რასაც ჩვენ ყველამ ერთად მივაღწიეთ, ფანტასტიკაა!

პოლიტიკური სუვერენიტეტის შემდეგ ეკონომიკური კეთილდღეობა ძალიან მალე მოვა, ზოგნი ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ საქართველო ვერ შეძლებს თავის შენახვას. ეს არ არის მართალი. საქართველო საკმაოდ მდიდარია და ქართველები საკმარისად ნიჭიერი ხალხია.

საქართველო ვინც გააღატაკა, ანუ რუსეთი, ამტკიცებს, რომ საქართველო ღარიბია და ამას საბუთად, ქართველებსავე „ამტკიცებინებს“.

დაბოლოს, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ჩემს ხალხს: ძვირფასო თანამემამულენო, თქვენ დღეს გიჭირთ როგორც არასდროს, გიჭირთ მორალურად, ეკონომიკურად, ვიცით, რომ დაიღალეთ, ვიცით რომ გცივათ, გტკივათ, გშიათ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ დღეს წყდება ჩვენი მომავალი, და თუ გავუძლებთ, თუ არ გავტყდებით, თუ არ დავეცემით, ძალიან მალე მივაღწევთ სანატრელ თავისუფლებას.

საუბარი ჩაიწერა
მაია გამცემლიძემ

9 ნოემბერს, 2 საათზე მთავრობის სასახლის წინ გაიმართება ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი **ზვიად გამსახურდია.**

საინიციატივო ჯგუფი.

გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი

„თავისუფალი საქართველო“

ფასი: 1 თვით—2 მან. 15 კაპ.
3 თვით—6 მან. 45 კაპ.
6 თვით—12 მან. 90 კაპ.
12 თვით—25 მან. 80 კაპ.

რედაქტორი თამარ ეგრალიძე

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, ჟუსრან მაჭავარიანი, გურამ პეტრიაშვილი, თეიმურ ქორიძე, ნოდარ ფულეისკირი, მარიკა აბაიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ზერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 88-81-57.

ბეჭდვა ოფსეტური წესით სოფლაულის ქუჩა № 11

ინდექსი 63421